ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7111277

ნომერი: AR11033743

თარიღი : 27.06.2024

გაცემის თარიღი : 03.07.2024

გაცნობის თარიღი : 03.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე წურწუმიას ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე ხოფერია პ/ნ 01017042813
- თბილისი ა.ფურცელაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "მოედანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405292106
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეონა ჭიკაიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 14001011632

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 373.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 355.42
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1570.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1250.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 320.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.04
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.24
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 27 ივნისის AR11033743 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ალექსანდრე წურწუმიას ქ. N 10-ში არებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეები, კერძოდ:

1. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
- დემონტაჟის პროექტში გაიწეროს სადემონტაჟო შენობების როგორც საერთო ფართობი, ისე ცალ-ცალკე ფართები შენობათა ნუმერაციის მიხედვით;
- ანაზომ გეგმებზე არ არის დატანილი ნიშნულები;
- გეგმები და ჭრილები არ შეესაბამება ერთმანეთს;
- წარმოდგენილი იქნეს ყველა ჭრილი გეგმებზე დატანილი ჭრილის ხაზების შესაბამისად;
- წარმოდგნილი იქნეს ყველა შენობის ანაზომი (ფასადები, ჭრილები) შენობათა ნუმერაციის მიხედვით;
- ფასადები არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას;
- წარმოდგენილი იქნეს ხარვეზების გათვალისწინებით კორექტირებული განახლებული პროექტის შესაბამისი საექსპერტო შეფასება;
- დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობასთან დაკავშირევით წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;

2..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები:
- ერთიანი ხედით ზედა ხედიდან;
- ყველა სადემონტაჟი შენობის დეტალური ფოტოები;
- ფოტოები დაინომროს შენობების მუმერაციის მიხედვით;

3. არ არის წარმოდგენილი სამომავლოდ განვითარების ესკიზი. გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით, მასალის, ზომების, ნიშნულების მითითებით;

4. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);

5. არ არის წარმოდგენილი ბანერის ფოტო;

6.წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში გაწერილი ვალდებულების საფუძვლად დაფიქსირებული დოკუმენტაცია სრულად და საჭიროების შემთხვევაში, გამყიდველის - ფატიმა ბუხრაშვილის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.